# ქართული ენა და ლიტერატურა

## ( VI/1 VI/2 VI/3 VI/4 კლასებისთვის)

**თემა:** სახელოვანი წინაპრები
**ძირითადი რესურსი/ტექსტი:** ი.გოგებაშვილი „ერეკლე მეფე და ინგილო ქალი“
**კლასი:** 6
**საათების სავარაუდო რაოდენობა:** 6
**მასწავლებელი – ლალი ხუციშვილი**

| დავალება | ცნება, ქვეცნებები | საკითხი | საკვანძო შეკითხვები |
|---|---|---|---|
| **მოკლე შინაარსის გადმოცემა გეგმაზე დაყრდნობით** | **ტექსტი:** პერსონაჟი, სიუჟეტი, მთავარი და არამთავარი ინფორმაცია, თემა, იდეა. | „ერეკლე მეფე და ინგილო ქალის“ მოკლე შინაარსის დაწერა გეგმაზე დაყრდნობით | როგორ დავწერო მოკლე შინაარსი გეგმაზე დაყრდნობით ისე, რომ შევინარჩუნო თემა და იდეა. |
| | | | |

| | | | |
|---|---|---|---|
| | **საკითხი:**<br>„ერეკლე მეფე და ინგილო ქალის“ მოკლე შინაარსის დაწერა გეგმაზე დაყრდნობით<br>**ცნებები/ქვეცნებები:**<br>**ტექსტი:** პერსონაჟი, სიუჟეტი, მთავარი და არამთავარი ინფორმაცია, თემა, იდეა. | **საკვანძო შეკითხვები**<br>როგორ დავწერო მოკლე შინაარსი გეგმაზე დაყრდნობით ისე, რომ შევინარჩუნო თემა და იდეა. | **შუალედური სასწავლო მიზანი**<br><br>**კომპლექსური დავალებები** |

| (1) ტექსტი – მოთხრობა<br><br>(შედეგები: II. 3; II. 5; II. 7; II. 8; II. 9; II. 10<br><br>1. ტექსტის მეშვეობით ავტორი გვიზიარებს თავის სათქმელს, რომელიც ჩვენს ცხოვრებას უკავშირდება.<br>2. ტექსტში პირდაპირ ან არაპირდაპირ მოცემული მინიშნებების საფუძველზე შესაძლებელია ტექსტის სიღრმისეულად, ახლებურად გააზრება, ახალი კუთხით წარმოჩენა.<br>3. ტექსტის გასაგებად/შესაქმნელად მნიშვნელოვანია სტრატეგიების აღმოჩენა და გამრავალფეროვნება.<br>4. ტექსტი შეიძლება იყოს **მოთხრობა**<br><br>**მოთხრობის**<br>***<u>მკვიდრი წარმოდგენები</u>***<br><br>***<u>1. შინაარსი</u>***<br><br>➢ მოთხრობაში გადმოცემულია გამოგონილი ამბავი, რომელიც შეიძლება ეფუძნებოდეს ნამდვილ ამბავს;<br>➢ მოთხრობაში მონაწილეობენ პერსონაჟები: ადამიანები, სულიერი და უსულო არსებები; | კომპლექსური დავალების დამუშავების ეტაპები (აქტივობები, რესურსები)<br><br>**I ეტაპი: კომპლექსური დავალების გაცნობა**<br><br>**II ეტაპი. კომპლექსური დავალების შინაარსი (/განხორციელება)** | **დავალება 1. მოკლე შინაარსის გადმოცემა გეგმაზე დაყრდნობით**<br><br>შეადგინე „ერეკლე მეფე და ინგილო ქალის“ 3–პუნქტიანი გეგმა და მასზე დაყრდნობით წერილობით გადმოეცი ნაწარმოების მოკლე შინაარსი.<br><br>*<u>ნამუშევარში:</u>*<br>➢ წარმოაჩინეთ მთავარი მოვლენები და მნიშვნელოვანი დეტალები;<br>➢ გამოიყენეთ ტექსტში მოცემული სიტყვები;<br>➢ გამოკვეთეთ მოვლენათა რიგითობა თანმიმდევრობის აღმნიშვნელი სიტყვებით და გამოთქმებით;<br>➢ გამოკვეთეთ სამი ნაწილი: დასაწყისი, შუა ნაწილი, დასასრული;<br>➢ დაიცავით აბზაცები, გამოიყენეთ სასვენი ნიშნები.<br><br>*<u>ნამუშევრის პრეზენტაციისას ისაუბრეთ:</u>*<br><br>● როგორ გამოიყენეთ მინიშნებები გეგმის დასაწერად, მთავარისა და მეორეხარისხოვნის ერთმანეთისგან გასამიჯნად (ტ. 2); |
|---|---|---|

| | | |
|---|---|---|
| ➢ თხრობა ხშირად გამდიდრებულია სხვადასხვა დეტალით;<br>➢ მოთხრობაში შეიძლება ერთმანეთს ენაცვლებოდეს თხრობა და აღწერა, გამოყენებული იყოს დიალოგები.<br><br>**<u>2. აგებულება</u>**<br>➢ მოთხრობაში გადმოცემულ ამბავს აქვს სამი ნაწილი (დასაწყისი, შუა ნაწილი, დასასრული), რომლებიც აზრობრივად შეესაბამება ერთმანეთს;<br>➢ მოთხრობაში ამბავი გადმოიცემა დროითი თანმიმდევრობის დაცვით.<br><br>**<u>3. ენა</u>**<br>➢ მოთხრობაში გამოიყენება ხატოვანი ენა, იშვიათად ხმარებული, უჩვეულო თუ საინტერესო სიტყვები;<br>➢ გამოიყენება სხვადასხვაგვარი წინადადებები, რომლებიც თანამიმდევრულად ებმის ერთმანეთს.<br>➢ შეიძლება გამოყენებული იყოს დროითი მიმდევრობის გამომხატველი ენობრივი საშუალებები. | | • რატომ ფიქრობთ, რომ თქვენი ნამუშევარი დაეხმარება მკითხველს მოთხრობის მთლიანი ტექსტის წარმოდგენაში (ტ. 1, 2; მოთხ. 1, 3);<br>• რატომ ფიქრობთ, რომ თქვენი ნამუშევარი გასაგები იქნება მკითხველისთვის (მოთხ. 2, 3);<br>• რა ხერხები/სტრატეგიები გამოიყენეთ მოთხრობის გასაგებად, მოკლე შინაარსის დასაწერად (ტ. 3). |

| | | |
|---|---|---|
| **(2) გრამატიკული კანონზომიერებები**<br><br>**შედეგები:** II. 3; II. 5, II. 11<br><br>1. სიტყვები იცვლიან/არ იცვლიან ფორმასა და მნიშვნელობას, ერთიანდებიან წინადადებებად გრამატიკული კანონზომიერების შესაბამისად. | | |

| | | | |
|---|---|---|---|
| (3) ფუნქციური სამეტყველო ქმედება<br><br>**შედეგები:** I. 1; I. 2; I. 3; I. 4; I; 5;I. 9; I. 13; I. 14; I. 15<br><br>1. სამეტყველო ქმედების სხვადასხვა ტიპს (თხრობას, აღწერას, შედარებას, დასაბუთებას) თავისებური სტრუქტურა–აგებულება აქვს;<br>2. მეტყველებისას გამოყენებული ენობრივი საშუალებები შეესაბამება სამეტყველო ამოცანას;<br>3. სამეტყველო ქმედება შესაძლებელია იყოს ზეპირი ან წერილობითი სახის. წერილობით ტექსტში საჭიროა აბზაცების დაცვა, წინადადებათა შინაარსის შესაბამისი სასვენი ნიშნების გამოყენება. | | | |
| | **საკითხი**<br><br>**ცნება/ქვეცნება**<br>**ფუნქციური სამეტყველო ქმედება – აღწერა,** | **სამიზნე ცნების საკვანძო შეკითხვა/ შეკითხვები:** | |

| | | |
|---|---|---|
| 4. სამეტყველო ქმედების შესასრულებლად მნიშვნელოვანია სტრატეგიების ამოჩენა და გამრავალფეროვნება. | | |